


წელიწადი
პირველი



28 აპრილი
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამონის ხუთზაბათობით

ხელის მოწამარ: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასაღებოს წემოდ. № 11
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაზეთით და გაზეთით და... 6 მან. — თითო ნომერი..... — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განაწარმებს და შეამოკლებს დასახელებულ გამოცემებში წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

საძიებელი: I. ოსმალის საქართველო. — **II.** საქართველოს მატიაზე — **III.** თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი. — **IV.** ომის ამბები — **V.** საზოლიტიკო მიმოხილვა. — **VI.** რა მიზეზია სერბიის დამარცხებისა? — **VII.** ჩვენის ისტორიის მასალა. — **VIII.** გლეხის ნაამბობი, სტენა 3 და 4, თ. რ. ერისთავისა. — **IX.** განცხადება.

მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთქვია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. ვარდა იმისა რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და სორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვექონია. ოდეს ბიზანტია, სწარსეთი და ოსმალა ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალის ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევიდაც მოხილ იქმნა.

ოსმალის საქართველო

ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულაბს. იგია საგანძე, საცა ერი ზოულაბს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბეგრას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულაბს, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალაბს სოღმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდეგი, ერთის ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეგოს, დაერღვიოს, მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალაულება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამეოფია სოღმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დამინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალაბს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოგვიდგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაუოფილ იყო წვრილ სამთავროებათ და ერთი ნაწილი სწარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მეომე ოსმალის ზედ მოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალის საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხროდა, ხან მეორეს და თვისის მომხრეობით განადლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენებულს ნაწილებს ოსმალის საქართველოსისა დიდი ჰატი-საცემი და სახელგანთი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერძო-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქედ პირველს საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერძო-თავყანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის სამინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოიხპო, პირ იქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე. როდესაც ბიზანტიის და სწარსეთის შუა ასტედა

შესანიშნავი ბრძოლა „ლახიკის“ თაობაზე, მაშინ ეხლანდელი ოსმალის საქართველო დიდ საისტორიო ანაბრეზათ შეიქმნა მათთა შორის. სწავრეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსა დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოსი იყოლიონ, „რათა დასწდებოდნენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი და აქვანდეს უადრესობა ეოველთა ეკკლესიათა და ძლეულთ-მთავართა ზედა.“ ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობ. ამ გვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა სულიერად მაინც, თუ არ სორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ-კურატ-ჰალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფეთ ქართლ-კახეთისა და ამ გვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაიბრუნა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არდანიუჯის ბაგრატიონთა გვარი განძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლანდელნი მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატრობით შემკული ეკკლესიები, იმ დროს აღმუშებულნი. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰყენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის, იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარეშო ადგილებში არაბები მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავის არაბულის წიგნების მუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი სამლო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ემწავლებებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, სამლო საერო თხზულებათა მთარგმნელნი, სახელოვანი მწერალი ჩვენნი ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხვის ტეაოსანის“, მთქმელი შოთა რუსთველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თვის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე საათაბაგოშია. ჩვენი ეოფილი ცხოვრება იქ აღუვალებულა, ჩვენს

სიცოცხლეს იქ უჩქეუნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუძრთავს თვისი სახელოთმული დროში. თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ეოფილის აღმადიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავკამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III განძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალის საქართველომ ამ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ესე იგი, მას კამს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთობა დაიბრუნა, ეხლანდელს ოსმალეთის საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოთ. ბიზანტიის იმპერიის დაშრობის შემდეგ ოსმალეებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაშრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ, — და ამისათვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ, მაგრამ 1625 წლამდე სამცხე საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ეოველთვის თავ-გაწირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალთა ასე რომ ოსმალეებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გავრცობასა, თუმცა მრავალი მსხვერზლი კი შეაწირვიანეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თვისი ძმის წული, უკანასკნელი ათაბაგი მანუხარ, გადუღვა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ თულიანი ფამობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავად ახნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურებითა; სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწვიტნეს, საუდრები დასმარცხეს და ეოველი სამლო-საერო წიგნები ცეცხლს მიჰსცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასო წარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწელოდ დევნული და განადგურებული ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა რომ ზოგის დედა, მამა, შანა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ეოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუძალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ემწავლები სახელოში გადმოჰყავთო მოსანათლავათ, ზოგი

ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრედ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსიღმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები, ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღსინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ-დედოფლისამ უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლს დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა და სხვაობა ჩვენ არ გვაძინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა იცის ჰატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიუოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დანჯგრა და დეენა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა ჩვენ შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წავგავუდრებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნულნი და ჩაგრულნი აქ, ჩვენში ჰაოულობდნენ მშვიდობის მეოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაძინებს, მეოქი, ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდის ხნის განმორებულს მძას მმურადვე შეითვისებს, თვის ჰატიოსანს და ღმობიერს გულზედ მძას მმურადვე მიიერდენს, თვალში სინარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სინარულის ცრემლის უწინარეს, ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისათვისაც ორითასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-ჰაჰათა....

საქართველოს მატთანე

— დუშეთის მანრა, როგორც მოგესხენებათ, განხიდულია მცხეთიდან, მთებს იქით, ღარსამდე თითქმის ასს სამოც ვერსტის სივრცეზედ, და მთელს ამ სივრცეზედ მოდის დიდი სახელმწიფო გზა, რომელიც ერთად ერთი ხმელეთის გზაა რუსეთისა და ამიერ კავკასიის შორის. ამისგამო დუშეთის მანრის ხალხი დიდ-ძალს ურმის ბეგრას ეწევა ხოლმე ეოველ წლივ ჯარებისა, ტუსაღებისა და სხვა და სხვა კამანდების გადაყვან-გადმოყვანაში. ეგ ბეგრას ჩვეულებრივ დროსაც მეტად უძნელდება ამ მანრის ხალხსა და

აბა წარმოიდგინეთ რამოდენად სამძიმო იქნებოდა ეგ ოცნა ომის ხმაზედ შარშან, 8-ს ნოემბრიდამ, ამოდენა ჯარი დაიძრა რუსეთიდან ამიერ კავკასიაში მოსასვლელად. შარშან რვას ნოემბრიდამ წელს თებერვლის დამლევამდე, თითქმის სამოცდა ათი ათასი ჯარი გადმოვიდა. ამბობენ, დღემო ორასი ურემი გამოდიოდაო. დღესაც ჯარის მოდენა არ შეწყვეტილა და ამის გამო დღესაც ამ მანრის ხალხი ბეგრებს. თუძცა ეს ასეა, მაგრამ ადგილობრივ ინჟინერებს მოუწადნიათ, რომ ამ ხალხსა კიდევ სხვა ბეგრაც გააწვიონ.

საქმე იმაშია, რომ მთებზედ ზამთარში თოვლისა გამო გზა შეიკვრის ხოლმე. უწინ გზის საკეთებლად დუშეთის მანრაში ბატალიონი იდგა. ბოლოს მთავრობამ უკეთესად ჰსცნო გზის კეთება ნარდად მიეცა კერძო ჰირთათვის და ბატალიონი მოშალა. ამის გამო მთების ჩრდილოდ მხარე ნარდად მიეცაო, ამბობენ ლეიზერს, რომელსაც უაზიბეგის სადგომის (СТАНЦІЯ) სასტუმრო აქვს ალებულიო და სამხრეთი მხარე დუშეთის მცხოვრებს არტემა ქავთარავსაო, რომელიც გუდაურში ვაჭრობს. წერილით შეკრულობის ძალითა ლეიზერს უნდა ჰყვანდეს ეოველ დღე 150 თვეობით დაჭერილი მუშა და ქავთაროვს 100, იმ ჰირობით რომ თუ გზა შეიკვრის თოვლისაგან ამათ იმოდენა მუშა უნდა წარმოადგინონ, რამოდენასაც ადგილობრივი ინჟინერი მოითხოვს. წელს მთებზედ ისეთი დიდ-ძალი თოვლი მოვიდა და გზა ისე შეიკრა, რომ მის განსნა მეტად გაძნელდა. ამასთანაც მარტის ჰირველს რიცხვებში ჩრდილოთ მხარის მუშას დაუკრამ ფეხი და გაქცეულა. ამბობენ გაქცევის მიზეზი ის ეოფილაო, რომ ზოგისათვის დაპირებული სასეიდელი არ უძლევიათ, ზოგისათვის მუშაობის შემდეგ თურმე შარი მოუდვიათ კარგად ვერ გიმუშავნიათო და ამის გამო სამუშაო უფული სრულად არ უძლევიათ.

გზის გამკეთა იმის მაგიერ რომ შეკრულობის ძალით ნარდად ამღებთათვის მოეთხოვნათ მუშა, აუღიათ და მოუთხოვნიათ მანრის უფროსისაგან, რომელსაც ძლივ-ძლიობით ქსნის ხეობიდან მოუკრებნია ორასი კაცი და გაუგ ზავნია. ეს ეოფილა მარტში. 8-ს ანრილს ხელახლად მოსვლია ქალაღდი მანრის უფროსსა, ის ორასი კაცი დავითხოვეთო, რადგანაც ჰური შემოგვაკლდაო და ახლა სხვა ორასი კაცი მოგვაშველეთო, თვეში სუთმეტ მანეთს მივცემთო, სამს გირვანქა ჰურსა და თბილს სადგომსაო.

ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: საცა ნარდად ამღებნი არიან, რომელთაც, რასაკვირველია, თავისი ეძლევათ, იქ რატომ ამ მონარდეთა არ ატანენ ძალას, რომ მუშა მოიყვანონ? აქ ხალხი, უძისოდაც დიდის ბეგრის მწველი, რა შუაშია? რად ჰსწერენ მანრის უფროსს ხალხი მოგვაშველეთო, მაშინ როდესაც მონარდებმა

თვით უნდა იყოლიონ მუშა? ეგ რა არის, არ ბეგარა? თუძნა თვეში ხუთმეტს მანეთს ფულს უნიშვნენ, მაგრამ ამ დროში არც ერთი გლეხი არ წავა მთებში სამუშაოდ მაგ ფასად, თუ იმის ნებაზედ იქნება მიგდებული. რად სურთ გზის გამკეთა საწვალა ხალხის ძალად გამორეკა, როცა მონარდენი ხელთა ჰყვანან? ეს წინად ფასის გადაკეთა რაღა არის იმისთანა დროს? როცა დუშეთის მახრის ხალხს არც მოცალეობა აქვს სახელმწიფო ბეგრისაგამო და ამისთანა სიძვირეც არის, — თუ არ იგივე ბეგარა? თუ ბეგარა არ არის, რატომ თავისუფლად არ ურიგდებიან გლეხსა ფასზედ? ამ გაჭირვებულს დროს ძერე დუშეთის მახრის კაცი, რომელიც დღე მუდამ ჯარების გადმოყვანის ბეგრის ჭანან-წვევტაშია, განა წავა მთებში სამუშაოდ დღეში ათ შაურად, თუ ძალდატანება არ იქნება? რად ჰსურთ გზის გამკეთა რომ უიმისოთაც გაჭირვებულ გლეხთ ლუკმას უტეხენ? მადლია რომ ამ უსამართლობას ჯეროვანი ეურადღება მიაქციონ და მონარდეთა მოვალეობა კისრად არ დაჰსდონ ხალხსა.

— ათონის მთაზედ *) ძველადგანვე ქართველების ღვაწლით დიდი მონასტერია აშენებული და მრავალი სავანენი. 1861 წლამდე ამ მონასტერში ქართველები ეოფილან, და იგი ხელთა ჰსჭერიათ. ამ წლის შემდეგ მონასტერი, მდიდარის ბიბლიოტეკისა და სხვა ძვირფასის ნივთისა მქონე, დაუპერიათ ბერძნების ბერებსა და ესლა ქართველებს იქ აღარ უშვებენ თურმე, თუძნა ქართველი ბერები დღესაც ათონის მთაზედ ოცდა ოთხამდე არიან. ქართველს ბერებს უღვაწიათ, მოუგროვებიათ ფული და ხელ ახლად უვიდნიათ ბერძნებისაგან უწინდელის ქართველთა მოსანტრის ადგილი და მასზედ ახალი მოსანტერი და სავანენი დაუდგამთ, მაგრამ აქაც ბერძნის ბერები თავისუფალის გამკეობის ნებას არ ამღვევენ თურმე, ასე რომ ეკლესიის გუმბათის ამოყვანის ნებაც არ მიუციათ. ჩვენს ბერებს უთხოვნიათ რუსეთის დესპანისათვის ოსმალეთში, რომ კუთვნილი მათდამი ძველი მონასტერი ამათ დაუბრუნოს, დესპანს ღენერალ ივანტიევს ურჩევნია, რომ კავკასიის მთავრობასა ჰსთხოვონ ამაში შემწეობა. ამ ჯამად აქ საქართველოში იმყოფება მამა ბენედიკტე ბერი ამ შემწეობის სათხოვნელად. ჩვენ შევიტყუეთ, რომ ათონის მთის ქართველთ ბერებს წერილები გამოუგზავნიათ ზოგიერთ ქართველთათვის და უთხოვნიათ მუამდგომლობა მთავრობის წინამე.

ვალად ჰსდევს ეოველს ქართველს, ვისაც კი რაიმე გავლენა აქვს, თავი გამოიდოს რომ ქართველებსვე დაგვიბრუნდეს იგი მონასტერი, ჩვენის მამა ჰანის ღვაწლით ნაშენი და გაბრწევივებული, ჩვენის წარსულის ცხოვრების მრავალ-გვარად

მომგონებული, ჩვენთა უწინდელთა სახელგათქმულთა მეცნიერთა სავანე. იმ მონასტერში ბევრი დიდებული სასწავლოა ჩვენის კაცურის ცხოვრებისა, ბევრი იმისთანა ნაშთია, რომლის მეორებითაც ქართველობა სასიქადულოა ქართველთათვის. სუ დაუკარგავთ მაგ სულიერს და ხორციელს განძსა ძველის ქართველობისას.

— ფინანსთა სამინისტროს დირექტორმა ტელეგრამით აცნობა ტფილისის საადგილ-მამულ ბანკის მმართველობას, რომ ამას წინად წარდგენილი ცვლილებანი წესდებისა, მინისტრს დაუძკიცებია და მხოლოდ 67 მუხლი დაუგდია შეუცვლელად.

— კალიის განსწვევტად შესწავრის თაობაზედ, რომელიც „ივერიის“ 8 ნომერში იყო მოხსენებული, ჩვენის ბანკის ზედამხედველმა კამიტეტმა გადაჰსწვევტა, რომ საზოგადო კრების დაუკითხავათ ბანკის წესდება ნებას არ ამღვესო ზედამხედველს კამიტეტს ეგ შესწავრა დანიშნოსი.

— ტფილისის შემოსავალ-გასავალის სქემა, რომელიც ჩვენ „ივერიის“ მეექვსე ნომერში მოვიყვანეთ, წარდგენილი იყო ქალაქის გამკეობის წინამე და ბანკის და ვარჩევის შემდეგ ამ სქემაში რამდენიმე ცვლილება მოახდინეს. ესლა ქალაქის შემოსავალი შეადგენს სულ, 414,085 მანეთს; გასავალი კი 444,548, ასე რომ წრეულ ქალაქს მოელის 30,563 მანეთი შემოსავალს გადამეტებული ხარჯი.

— ქუთაისიდან გვწერენ: „არ ვავიკონიათ, რომ კაცი მომზადებულია სამეზავროდ, შეუკრავს თავისი ბარგი, ასე აღტაცებით მიჩქარებული იქითკენ, საითკენაც მისი საქმე ან ვარემოება იწვევს, მაგრამ რომ მიანლოვებულია რეინის გზას ანუ გემსა, მაშინ, დაურეკიათ შესამეჯერ წარი და გემს თუ ორთქლ-მავალს გაუწევია თავისათის და მგზავრი საღტად დარჩენილა.“

სწორედ ამ მგზავრის მდგომარეობაში ჩავდგე იმ დროს, როდესაც წავიკითხე „ივერიის“ 6-სე №-ში რედაქციის მწარე ზანუსები. მეც ერთი მათგანი განლავარ, რომელთაც თქვენ უზანუსეთ, სახელდობრ „მოვლექილამე“. — ჩემდამი მომართულის ზანუსის გამო ერთი დიდი ჭიქა ცივი წვალა გადაუვლუჭე. მეტი რა გამეწეობოდა?!

მე სწულად თანახმა განლავარ რედაქციისა, რომელიც ამბობს: „თუ ადამიანს ჰკიცხავთ მისი საბუთი საქმე და ნამოქმედარი გვაუწუეთო, სხვა გვარი განკიცხვა, ჩვენის ფიქრით, ლანძლავაო“. კარგი და ზატოხსანი. სწორედ სასარგებლო გახეთი ის არის, რომელიც უსაბუთოდ არავის ეხება და არას სწერს. — ჩემი ჰირველი წერილიდან მოისმენდით ჩემს მცირე შეხედულებას განეთხე. მეც მოგანსენებთ: უსაბუთოდ ლანძრავი და წერა არ

*) ათონის მთა ოსმალთა სახელმწიფოს უჭირავს.

არის საკადრისი და არც სასარგებლო, როგორც გაზეთისათვის ისრე საზოგადოებისათვის. — მე მხოლოდ ხასიათები ავსწერე ზოგიერთის გვამისა, (და არაფერ კი დამისახელებია), რომელნიც ვითომ ქვეყნის მზრუნველნი არიან, და თუ ვინმე იცნობდა თავის თავს და ხმას ამოიღებდა, მაშინ საბუთებიც გამოჩნდებოდნენ. — ჩემის ფიქრით საზოგადოება ამგვარის აღწერით თითონ გამოძებნის, იცნობს და დააფასებს მას, ვინც საცნობია. მაგრამ რედაქციამ უკედ იცის თავის გაზეთის მიმართულება და ამისათვის იქნება ძალიან კარგად მოხდა რომ დავიწუქებამს მიეცით ჩემი პირველი ნაღვლიანი წერილი.

იქნება ეს წერილიც არ არის საჭირო „ივერიისათვის“, მაგრამ თქვენმა ზასუსებმა ააღაპრებენ ბევრნი ისედაც ნაირად რომ, ჩემის ფიქრით, არ იქნება უადგილო ზატარა ადგილს მისცემდეთ ამ ჩემს ზატარა წერილს. — საზოგადოდ ჩვენში გახდნენ ზოგი ისეთი მკითხველები, რომ მათს ტვინს არ ძალუძს გაიგოს ნამდვილი შინაარსი რომელიმე წერილისა და ზოგნი იმისთანანი, რომ კარგად ესმით რაცა ჰსწერია, მაგრამ კანონად მიუღია წუნის დადება. თქვენც მიხვდებით რა ჯურის კანონი არიან ეს უკანასკნელნი. ამ ტვინისა და ზნეობის მექანიკა გამოდიან მოედანზე, ან იწუებენ სიარულს იმისთანა ოჯახებში, სადაც იმეათად კითხულობენ ჩვენებურ გაზეთებსა, იწუნებენ, ჰკიცხვენ წერილებსა, ავინებენ დამწერსა, და არიან ვითომ ერთ დიდ ამბავში.

თუ მოგიხდათ როდისმე მისვლა ამისთანა ოჯახშია, და იწუებენ კამათობას გაზეთის რომელიმე წერილზედ ტყუილ-კრიტიკოსების სიტყვითა. რომ ჰკითხოთ: თქვენ წავგიკითხავთ წერილი, რომელსაც ჰსწუნობთ.

- არაო, გინასუსებთ.
- მაშეგრე როგორ ლაპარაკობთ მასზედ, რაც თვით არ წავგიკითხავთ.
- იმათ ისე მითხრეს და ასე ვლაპარაკობ.

თ. ალექსანდრე ზავჭავაძის ლექსნი.

I

ჰოი ვით გვემტყუნვა
 სოფლისა ბრუნვა!..
 წაგვიხდა ზრუნვა
 მბუღარე გულსა!
 ამაღ ვჰსტირთ წყლულსა
 არ დაფარულსა....
 ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,
 გხვევიან ჭირნი
 ფოთოლთ უხშირნი!..

დავიდნენ მთენნი,
 შარავანდო მთენნი!..
 აქ იგნი მზენნი
 ჰფარვიან ღრუბელს,
 ავდრის საგუბელს,
 მწყვდიადსა და ბნელს.
 ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,
 გხვევიან ჭირნი
 ფოთოლთ უხშირნი!..

შებრყვილულს გულსა
 ცრემლით ვჰჰბანთ წყლულსა;
 ესრედ მორწყულსა
 მოჰსდის სამყოფი
 სევდის ნაყოფი
 გონების მყოფი...
 ვჰჰმუნავთ ბედ-მწირნი,
 გხვევიან ჭირნი
 ფოთოლთ უხშირნი!..

II

უწყლვივარ ჭირთა მალვას,
 დუმილს, ოხვრას და კრძალვას,
 სურვით შემწლიან თვალნი
 ვჰჰჰვრეტ ოდეს მას ტან-ალვას.
 ვიშ მანდ მშვენთა ხალთა!
 ვაი მათგან ნაკრძალთა!
 ვეტრფი სატრფოთა თვალთა,
 დაწვთ ვარდთა, ბაგე ლალთა;
 ველარ დაჰფარეს თავი
 განდიდებულთა ალთა.
 ვიშ მანდ მშვენთა ხალთა!
 ვაი მათგან ნაკრძალთა!
 საშუალ ორთა ღამეთ
 ჰბრწყინავს მზე გულთ საამეთ,
 მისთა სხივთ ისრებთაგან
 სულისა ხდასა ვლამეთ.
 ვიშ მანდ მშვენთა ხალთა!
 ვაი მათგან ნაკრძალთა!
 ბადახშა ჰშვენის მკობა,
 მარგარიტთ მიჯრით წყობა;

ვიცი, უცილოდ მომკლავს
 მათი იღუმალ ტრფობა.
 ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!
 ვაი მათგან ნაკრძალთა!
 ჰსწყურს გულს მის მზისა ხლება,
 ვისგანც გონება ბნდება;
 ვფიცავ, თუ არ მცა წამალ,
 სამიწოდ სული მხვდება.
 ვიმ მანდ მშვენთა ხალთა!
 ვაი მათგან ნაკრძალთა!

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

ამიერ კავკასიაში:

– 16, 17 და 18 აპრილს ცხენოსანი ჯარი გურიის მხედრობისა ღენერალის ჭავჭავაძის წინამძღოლობით გასულა მტერთა საძებნელად ეანი-კოისაკენ ეარსის სამხრეთ ადგილებში. ერთი ნაწილი ამ ჯარისა ლიხავიტამდე მისულა და ტელეგრაფები არწერუმ და ეარსის შუა ათს ვერსტზედ მოუძლია და მეორე ნაწილი მისულა სოღანლუსის ახლო მეოფ სოფ. ვერიშანამდე.

– 17 აპრილს კორპუსის სარდალი ღენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი ზოგიერთის ქვევითის ჯარით, ცხენოსნით და არტილერიით ზაიმის ბანაკიდან დამრულა, გადუვლია ხალიუოოლლი და სოფელს ვარიკელს მისულა.

– 18 აპრილს ეანი-კოიდან დაბრუნებულს ცხენოსანს ჯარს რვა ბატალიონი ოსმალთს ჯარი, ციხიდან გამოსული, დახვედრია. ორი საათი არტილერიის სროლა ჰქონიათ.

– 19 აპრილს ჩვენი ცხენოსანი ჯარი დამდგარა ვიზინკევში და ქვევითი მობრუნებულა ზაიმის ბანაკს, ჩვენი ერთი მომკვდარა, სუთი დაჭრილა. ჩვენს ცხენოსანს ჯარს ასი ოსმალთს ჯარის კაცი თოფ-იარაღით ხელში ტყვეთ დარჩენიათ.

– 19 აპრილს ჩვენის ბანაკიდან, რომელიც არდაგანთან არის, ეუბანის ეახანების სამასი კაცი ზოლკოუნიკის მაკევის წინამძღოლობით, დამრულა, იმავე დღეს გადუვლია დაუბრკოლებლივ ომერ-აღა და საღამო ჟამს მისულა ზაიმს. 20-ს აპრილს ისევ უკანვე მობრუნებულა

– ფოთიდან 22-ს აპრილს იწერებთან: ბათუმიდან, ფოთის სისწვრივ, ზღვის ზირად გამოუვლია სამს

საომარს სომალდს ოსმალთსას და რამდენჯერმე ზარბაზანი უსროლიათ.

– ნოვოროსისკიდან 21 აპრილს იწერებთან: ადღერთან მოსული შვიდი საომარი სომალდი ოსმალთსი ისე წავიდნენ ისევ ზღვისკენ, რომ არაფერი მოუხდენიათო.

– ფოთიდან 22 აპრილს: ოსმალთს საომარი სომალდი მოადგა ფოთსა, სამი ზარბაზანი ესროლა, ეუბანებს ფოთამდე ვერ მიელწია. ამ სომალდს შემოუერთდნენ სხვა ოთხი სომალდიცა და ერთი ცეცხლის გემი. უკანასკნელი ნიკოლაევსკიდან მოდენილა და გზა და გზა ზღვის ზირებსზედ მდგარს საეარაულოებისათვის სროლა აუტენხია.

– ოსურგეთიდან 23 აპრილს. რიონის მხედრობის ერთი ნაწილი ჯარი ისევ მუხა ესტატეს მთაზედ დგასო. გუშინ (22 აპრილს) თარეში გაუშვიათ ზღვისა და ლეტვისაკენ რომ ტყეებიდან მტერი განდევნონ. ჩურუქ-სუს დაბას ოსმალთებმა თავი დაანებეს, მაგრამ ზღვიდან მას იფარავს შვიდი საომარი სომალდი. ჩვენი ჯარი მოსულა თუ არა ჩურუქ-სუს, ზღვიდან მაშინვე სროლა აუტენხიათ. ლეგვის მალლობზედ ოსმალთებს სანგალი ჰქონიათ, მაგრამ ჩვენებს სანგლიდან ოსმალნი გაუდევნიათ. თუძცა სამი კვირაა რაც მუუწვევტლად ჰსწვიმსო, მაგრამ მაინც ჯარები ჯან-მრთლიანად არიანო. გზები ძალიან ძნელი სავლელიაო.

– ფოთი 23 აპრილს. ოსმალთს საომარი სომალდნი, ფოთის ზირ და ზირ მდგარნი, დაიძალნენ. ორი სომალდი და ერთი ცეცხლის გემი იქვე დარჩა, სხვანი ნიკოლაევსკისაკენ გაემართნენ. ნიკოლაევსკიდან ისმის ზარბაზნის სროლა. ინგლისის სომალდი წასულა ფოთიდან და ფოთთან მდგარნი ოსმალთს სომალდნი უკან გამოჰსდგომიან.

– გუმბრი 24 აპრილს. ავიდარი თავისას არ იძლის. ხმა გავარდაო, რომ ოსმალთ სოღანლუსთან ჯარსა ჰკრებს ოარწერუმიდან და აქვე მოვლისო მთიულთა და კურდთა ცხენოსანს ჯარსაცაო.

– რიონის მხედრობიდან ამბავი მოვიდა, რომ 14 აპრილს ოსმალთს საომარი სომალდნი, რიცხვით შვიდი, დაუდგრომელად მიმოვლიანო ზღვის ზირებსზედ და გუშინ საღამოს ნიკოლაევსკისათვის სროლაც აუტენხიათო.

– გუმბრი 25 აპრილს. ერთი ნაწილი ცხენოსნის ჯარისა გავიდა მელიქ ევის, თოფაჯოქს და ჩანძაურს მტრის სამებნელად. გენერალი დეველ 24 აპრილს თარეშათ გასულა და მიღწეულა თვით არდაგანამდე. გენერალი ტერლუქასოვი დიადინ ხესაკენ მიიწევს.

– ოსურგეთი 25 აპრილს. რიონის მხედრობის ჯარი ჩურუქ-სუს ახლო-მანლო ფურაქისათვის გასულა; ოსმალონი ეოფილან კინტრიშის წყალ გაღმა და ჩვენის ჯარისათვის არა ფერი დაბრკოლება არ მიუციათ. წვიმები აღარ მოდის.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ავსტრი-ვენზრია.—პოლიტიკის უმთავრესი ვითარება ამ ჟამადაც ისევე ამ საგანზედ ტრიალებს: ომი მარტო რუსეთისა და ოსმალეთის შორის იწარმოებს, თუ სხვა სახელმწიფოსაც გადაედება. ერთი ავსტრიელი გაზეთი აი რას იწერება ავსტრიის შესახებ: „ჩვენ უნდა ვცადოთ რომ ერთ ერთის მხარის დამარცხების შემდეგ მორიგება ჩამოვარდეს, და იმ დრომდე კი არავითარი მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ. აი რა პოლიტიკას უნდა დაადგეს ავსტრია-ვენზრის მთავრობა. ჩვენთვის საჭიროა ხელ გასწილი ვიყვნეთ, რო თავისუფლად მივევებნეთ იმ გარემოებას, რასაც მომავალი მოიტანს, ჩვენთვის საჭიროა ზირველის შემთხვევითვე ვისარგებლოთ, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს მორიგება, თორემ თუ ომი გაგძეღდა, მეტე მხელიდა იქნება ჩვენთვის უომრად გადაჩნობა.

საკვირველი რამ არის ეს ავსტრიის საქმე მისი სახელმწიფო ისეთ ნაირად არის შემდგარი, მის შინაურ განწყობილებაში სხვა და სხვა მიდრეკილებანი ისე განშორებულნი არიან ერთ-ერთმანეთზე, რომ კაცი აღვილად ვერ მიხვდება თუ რა საქციელს უნდა დაადგეს ავსტრი-ვენზრის იმპერიას, რომ ერთგვარად დააკმაყოფილოს სურვილი და გულის წადილი თვისთა მრავალგვართა ქვეშევრდომთა. ავსტრიას ერთის მხრით ვენზრის წინააღმდეგობისა ეშინიან, მეორეს მხრით სლავიანებისა. გარდა ამისა ვენზრია სლავიანებსედ არის გადამტკრებული. ერთის სიტყვით ავსტრი-ვენზრია სამ კავშირთან არის შემდგარი, რომელთა შორის მარადი განხეთქილება და უთანხმოება სუფევს. ახლა მობძანდით და ერთს რომელსამე პოლიტიკას დაადექით და ეველანი ერთგვარად დააკმაყოფილეთ! ამის გამოისობით, თუ მართლა ომი გავრძელდა და მთელ ევროპას გადაედვა, ძალიან მხელი საქმე მოუვა ავსტრიას. შესაძლებელია, რომ იმას იგივე დღე დაადგეს როგორც ამ ჟამად ოსმალეთს ადგია.

მას აქედ, რაც ავსტრიის იმპერია სუფევს მის მთავრობის მოღვაწეობას ერთი შეცდომა მოსდევს: იმას ჰგონია რომ, რადგანაც სლავიანები და

ნემენცები სხვა და სხვა გვარ-ტომობის ხალხიაო, მათ შორის უსათუოდ განხეთქილება უნდა ჰსუფევდესო და ბუნებითვე ერთმანეთის მტრები უნდა იყვნენო. ამ აზრის მქონე მთავრობა, რასაკვირველია, უსათუოდ იმისთანა მოქმედებას დაადგებოდა, როგორც ამ აზრს შეეფერება, ე.ი., ვალდებულ ხდოდა თავის თავს სლავიანების გვარ-ტომობა ძირიანად ამოეგლიჯა და სლავიანები ნემენცებათ გადაეცვალა. ავსტრიამ დაიწყო სლავიანების დევნა და, რასაკვირველია, ის შეიძინა, რომ მათი გულისთადი სიძულვილი მოიპოვა. ავსტრია სლავიანებს სულს უხუთავდა, ეოველგვარ თავისუფლებას ხელიდგან ჰგლეჯდა და მეტე, როდესაც სლავიანები მაგარზედ დაუდგებოდნენ, ან გაჭირებაში გულმოდგინებით არა შველოდნენ, იძახდა — სლავიანები იმიტომ შემტყრებიანო რომ მათში სლავიანური სისხლი ტრიალებსო. ის კი არ იცოდა, რომ იმას ცოტად სული მოებრუნებინა სლავიანებისათვის, ჰატარა თავისუფლება მიენი-ჭებინა, ისინი მტრები კი არა, არამედ გულ-წრფელი მეგობარნი იქმნებოდნენ. ამის გამოისობით, მხელი საქმე მოუვა მომავალში ავსტრი-ვენზრის, თუ არ გამოიცვლის თავის შინაგან პოლიტიკას და სლავიანებს ამ გვარად არ მოუწიოს თავისუფლებას, როგორც, მაგალითად ვსსთქვათ, შვეიცარიის კანტონებს ანუ ამერიკის შტატებსა აქეთ მოწიობილი. ავსტრიის ნემენცები შედარებით ძალიან ცოტანი არიან და ისინიც გერმანიას შესცქერებიან; ვენზრია ხომ დიდი ხანია თავისუფლებას ეძებს და ვიდრე არ მოიპოვებს, თავისას არ დაიძლის. დარჩს სლავიანები, და თუ იმათაც ხელი არ შეუწყო ავსტრიამ, ხომ გაქაწველება, როგორც მარმანდელი თოვლი.

– 11 აპრილს, ავსტრიის დეპუტატთა პალატში, ერთმა დეპუტატმა, გისკრმა და მისმა მომხრეებმა აი რა წარუდგინეს მთავრობას: „შეუძლიან თუ არა მთავრობას აგვისხნას რა გზას დაადგება თავის პოლიტიკაში, როდესაც რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომი ასტედება, და თუ შეუძლიან, მამ გვითხრას რასაგანი აქვს მთავრობასა სახეში დარადლონიისძიების მოხმარება ჰსურს. ამ საგანზედ, რასაკვირველია, ღირს-საწნობი ბაასი გაიმართებოდა, მაგრამ ჯერ გაზეთები არ მოსულან და ამიტომ ჯერ ამასედ ვერას მოვასხენებთ.

ოსმალეთი. — ერთს რუსულს გაზეთს შემდეგი ცნობები მოჰყავს ოსმალეთის ჯარის შესახებ: დუნაისაკენ ოსმალეთს 18, 000 ჯარის კაცი ჰყავს დამზადებულიო. გარდა ამისა 5, 000 კაცი ციხის არტილერიისა, რომელიც სხვა და სხვა ციხეებსა და სიმაგრეშია მორიგებულიო.

ზემოხსენებულ რიცხვთა შორის დობრუჯაში *) არის 20,000-მდე კაცი; სილისტრიაში – 20,000-მდე, რუმსუკში 18,000-მდე, შუმლაში – 14,000-მდე; ვარნაში და მის ახლო-მახლო 14, 000-მდე; ვიდინში და მის გარშემო 55,000-მდე; სულ ერთიანად 140,000 მდე. დანარჩენი სხვა და სხვა ადგილებში არიან დაბანაკებულნი.

სულ ევროპაში ოსმალეთს შეუძლიან ომში გამოიყვანოს 263,000 კაცი.

აზიაში ოსმალეთს შეუძლიან გამოიყვანოს 130,000-მდე კაცი, (ეაზში – 18,000, ბათუმში – 16,000, ერზრუმში – 10,000, ბაიაზეში – 7,000 (?) საღანლუღში – 6,000).

– სტამბოლიდან იწერებინ 14 აზრილს ერთს ნემენცურს ვაზეთში, რომ ხონთქარი ვერა ჰბედავს ლაშქარში წასვლასაო, რადგანაც ემინიან სტამბოლში არეულობა არა მოხდეს რაო. ცალკე მიტხადის მომხრე კაცების ფიქრიცა აქვს, რადგანაც ესენი ეოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავისი გაიტანონ. ხონთქარს წასვლაც უნდაო და წასვლისაც ემინიაო და ამ ორწუკალშუა დგომის მიზეზნი თვით სამხედრო მინისტრიც და ხონთქრის სიმე არიან, რადგანაც ამათთვის უხონთქროთ სტამბოლში დარჩენასამიშარიო. ერთისსიტყვით, აქედამა ჰხანს, რომ სტამბოლში არეულობა მოსალოდნელია.

– აი რა შეუთვლია ხონთქარს თავის ხალხისა და ლაშქრობისათვის: „რუსეთი, ეს მარადი მტერი ჩვენის თავისუფლებისა და ჩვენის ღირსებისა, შემოყენა ჩვენს სამშობლოს წინააღმდეგ უფლებისა, სამართალისა და ტრაკტატების ზატივის ცემისა. თქვენ წინაშართა ანდერში და წინასწარმეტყველის კანონი ვაღდებულ გზით განდევნოთ მტერი და დაიცვათ თქვენი სამშობლოს დროშის ზატივი. სამშობლო ჩვენი განსაცდელშია! – მანსადამე, ვალად ვრაცხ ჩემს თავს ავიღო ხელში ხალიფის დროშა და გავიდე საომრად, და თუ საჭიროება მოითხოვს შევწირო ჩემი სიცოცხლე იმპერიის თავისუფლებასა ჩვენის ცოლ-შვილის ზატივისა და სიცოცხლის დასაცვლად. დავანახოთ მთელ ქვეყანას ზომიერებისა და მოვალეობის აღსრულების მაგალითი. ეოველგან და ეოველ შემთხვევაში ეოველს მცხოვრებს ჩვენის ქვეყნისას, რა ტომისა და სარწმუნოებისაც უნდა იეოს, სიცოცხლე და საკუთრება ხელშეუხებლად უნდა დარჩეს. ვაი იმ ჩვენს ქვეშევრდომს, რომელიც კი გადაუდგება ამ ჩვენს ნებას!“

*) დობრუჯა არის ერთი ნაწილი ოსმალეთისა, იქ საუაღუნაია ზღვას ერთისი.

– ომის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთის გარეგან საქმეთა მინისტრმა, საფუტუჟამაჟ ვეულა ევროპის სახელმწიფოებს გაუგზავნა ცირკულიარი, სადაც სხვათაშორის, მოხსენებულია, რომ რუსეთს სრულებით არა აქვს უფლება ლონდონის სიგელი მოიყვანოს საბუთათ და მით თავი გაიმართლოს. ზირველი ესაო რომ, ამ სიგელზედ ვეულა სახელმწიფოებსა აქვსთ ხელი მოწერილი და ამის გამოისობით ერთს რომელსამე სახელმწიფოს ცალკე არა აქვს უფლება ოსმალეთის წინააღმდეგ იმოქმედოსო. გარდა ამისა, სიგელის დამატებაში მოხსენებულია, რომ თუ ვინცობაა ომზედ მივარდა საქმეო, ეს სიგელი უნდა გაუქმდესო. ხსენებულის ცირკულიარის სიტყვით რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს ოსმალეთის ქრისტიანებს მფარველობა გაუწიოსო. ოსმალეთის მთავრობა ჰსთხოვს უმთავრესს სახელმწიფოებს საერთოდ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში ზარიჟის ტრაკტატის ძალითაო. ამ გზით ევროპა დაიცვაოსო უბედურებისგან იმავე ქრისტიანებს, რომელთა განთავისრულებისათვის რუსეთმა ხმელი ამოიღოო. ოსმალეთის მთავრობა ესლაც მზად არისო დაშალოს თავისი ჯარი, თუ რასაკვირველია იმავე დროს რუსეთიც დაშლის თავისასაო.

ესლაც, როგორც მოგეხსენებათ, ეს ცირკულიარი დაგვიანდა და ისტორიული მნიშვნელობა თუ ექმნება, თორემ სხვა კი არაფერი.

წვრილი აზრები. ერთს ნემენცურს ვაზეთში ჰსწერია – ავსტრია არანდროს თანახმა არ იქმნებაო, რომ რუსის ჯარი სერბიაში შევიდესო, და თუ სერბია კიდევ ომს აუტყის ოსმალეთსა, მაშინ ავსტრიის ჯარი დაიჭერს სერბიასა და აგრეთვე ბოსნიასაცაო. მამ ავსტრიას კიდევ გადაუხვევია!

– 19 აზრილს (1 მაისს) შეიყარა საფრანკეთის ზარლამენტი. დეპუტატთა ზალატში გარეგან საქმეთა მინისტრს ჰერცოგ დეკასს სხვათა შორის უთქვამს შემდეგი: „ჩვენი გარეგანი მდგომარეობა არანდროს არა ეოფილა ისე კარგი და მშვიდობიანი, როგორც ამ ეამად არისო. სხვა სახელმწიფოინც ზირ და ზირ არ ერევიან აღმოსავლეთის საქმეში.

ჩვენი პოლიტიკა – სრულიადი ნეიტრალიტეტი *) იქმნებაო.

– ჩერნოგორიის დესპანნი, რომელიც შერიგების თაობაზედ ივენენ ვაკზანვილნი სტამბოლს, გამოეთხოვნენ უცხოეთთა საქმეთა მინისტრს საფუტუჟამასა და გამოთხოვების დროს ეს უთხრეს: „ჩვენ

*) ნეიტრალიტეტი ნიშნავს იმ მდგომარეობას, როცა სახელმწიფო არც ერთს მებრძოლს არ მიეხრება.

იქნება ვერაფრად გეხვეწეთ როგორც დიპლომატი, მაგრამ შეგვიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ როგორც მომარნი უკეთესად აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობასა.“

– ათინადამ (საბემნეთის სატახტო ქალაქია) 24 აზრილს იწერებინან: მთავრობის ნებადაურთველად ბერძნის ერთი ქვევითი ჰოლკი საზღვარს გადასულა და ოსმალთათვის ომი აუტყენიათ. დიდი დეღვაა თურმე ხალხისა.

რა მიზანია სერბიის დამარცხებისა?

ამ სათაურით რუსულს გაზეთში „Недѣля“-ში დაბეჭდილია, ჩვენის აზრით, დიდად ღირს-საცნობი წერილი შესახებ იმ მიზეზისა, რომლის ძალითაც სერბია დამარცხებულ იქმნა შარშანდელ ომში. იქნება თქვა, მკითხველო, რადა დროს შარშანდელი ომიაო, როდესაც სერბია დღე-ღღეზე ახალის ომის ლოდინშია და შარშანდელი ვიღას აგონდებაო. შართალია, ამას ეხლამხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისტორიაც, როგორც მოგეხსენება, ტყუილ-უბრალო დროს გასატარებელი საგანი არ არის; „ისტორია აგვისსნის წარსულს და მისის მაგალითებით გვიკვებოს გზას მომავლისას.“ გარდა ამისა, შარშანდელის დამარცხების მიზეზის გამოკვლევა მით უფრო საჭიროა, რომ სერბია დღეს თუ ხვალ ხელახლად ომს მოეღოს და, როგორც ავტორი ამბობს, ეს გამოკვლევა ცოტად თუ ბევრად გვაცნობებს იმ სქემას, რომელსაც უნდა აჰყვეს სერბია თვის მომავალს მოღვაწეობაში, როგორც თავის სახელმწიფოს შინაობაში, აგრეთვე მის გარეგან მოქმედებაშიაც. ამ წერილის თავში მოუვანილის კითხვის ზასუხი ცოტად თუ ბევრად უხვეწებს სერბიას იმ დედა-ბოროტებას, რომელიც მის ცხოვრებაშია ჩართული და რომლის მოსპობაც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ეოველის მის შვილისათვის, რომელსაც კი ჰსურს თავის სამშობლოს გაძლიერება და წარმატება.

ამ წერილის ავტორი თვითონ სერბიელია და მონაწილეობაცა ჰქონდა შარშანდელ ომში. ამის გამოცხადებით მის ნაუწეს, რასაკვირველია, უფრო მომეტებული მნიშვნელობა ეძლევა.

სერბიის *) დამარცხების მიზეზად ზოგს რა მოჰყავს, ზოგს რა. ბევრნი ამ რიგად ლაზარაკობენ:

*) ალატის უქონლობის გამო ეს წერილი შემოკლებით არის გადაჭიმული.

„ესა და ეს გვაში ომში რომ არ გარეუღლიო, ჩვენი საქმე ძალიან კარვად წავიდოდაო.“ ან: „ომის მოთავედ რომ ესა და ეს კაცი ეოფილიეოვო, ჩვენ დიდი ხანია სოფიაში **) ვიქნებოდითო.“

ზოგი თავის უბედურებას იმას აბრალებს, რომ ოსმალეთს ძალიან დიდი ჯარი ჰყვანდაო და ამის უშველებელ რიცხვს ვინ აუვიდოდაო. ზოგი კი ამბობს, რომ თვითონ ხალხი უკულოდ, დაუდევრელად იბრძოდაო და საცა მტერს შესვდებოდაო, მაშინვე უკან იწვედაო. ჩემის ფიქრით, ეველა ამ მიზეზთა შორის ეს უკანასკნელი ეველაზედ უფრო მძიმე და საფუძვლიანია. ამის გამოცხადებით, ორს ზირველ მიზეზს თავს დავანებებ, მით უფრო რომ მათი დარღვევა ადვილია, და შეუდგება მხოლოდ ხალხის გულგრილობის მიზეზის გამოკვლევასა

შარშანდელს ომს რომის ომი შევადაროთ, რომელიც სერბიამ ამ საუკუნის დასაწყისში ოსმალეთს აუტყენ თავის განთავისუფლებისათვის, აი რას დავინახავთ: 1804 წ. სერბია უფრო შეწუხებული იყო ვიდრე ეხლა. მაშინ მტერი შივ სახლში ედგა და ჰყოფდა მას ზატარ-ზატარ ნაწილებად, რომელთა შორის ამის გამო მტრობა და ერთიერთმანეთზე გადაკიდება სუფევდა. მაშინ ეოველი ქალაქი, ცინე, სიმაგრე მტრის ხელში იყო, რისგამოც მტერთან ბრძოლა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ეხლა, როდესაც სერბიას უპური ერთობით მტკიცე სახელმწიფო, და როდესაც ქალაქები და სიმაგრენი თვითონ სერბიელების ხელში ევა. 1804 აჯანყებული ხალხი კეტებით, ცუღით და ნამკლებით იყო შეჭურვილი, — ეხლა კი მას ხელთ ჰქონდათ ახლად მოგონილი საუკეთესო თოფ-იარაღი. მაშინ ომის მოთავენი უბრალო გლეხები იყვნენ, რომელთაც, რასაკვირველია, სამხედრო მეცნიერებისა არა გეგებოდათ რა. — ეხლა კი წინ მიუძღოდენ განათლებულნი გენერლები, ქვროზიის სამხედრო აკადემიებში ნასწავლნი აფიცრები. ეს ეველა კარგი, მაგრამ მაშინ მაინც სერბიელები იმარჯვებდნენ, სწავდნენ ოსმალეთის სოფლებს და ქალაქებს, მტერს აერევიებდნენ თოფ-იარაღს, საცმელს და სხვა გვარ ნივთებს. ეხლა კი თვის ქალაქებს ზედი-ზედ თვით სერბიელნი სტოვებდნენ, თვით ჰერიდნენ თოფ-იარაღსა. ან ერთის მიზეზი, ან მეორისა? რომ ამ კითხვას ნამდვილი ზასუხი მივცეთ, უნდა დავაკვირდეთ ხალხის ცხოვრებას და იმ აღელვებულს მოძრაობას, გონებით თუ გულით, რომელმაც სული ჩაუდგა სერბიას 1804 წელს და თავგამოდებით ფეხზედ წამოაყენა.

ვინ იყო იმ თავგამოდების მიზეზი და ვინ იღვა კისრად? თვითონ ხალხი იყო და თვითონ ხალხმავე იტვირთვა.

**) სოფია — ოსმალეთის ქალაქია ბოღჯაზიში.

ძალიან დახატული და შევიწროებული იყო მაშინ სერბიის ხალხი ოსმალებისაგან. იგი დიდხანს ატარებდა გულში თავისუფლობის სურვილსა, დიდს ხანს ჰქონდა მარტო ის ფიქრი და სრუნვა, ეგებ როგორმე ეს მტერი გავიცნალო და თავი მის მფლობელობიდან დავისხნაო. ბოლოს დარწმუნდა რომ ამ წადილის აღსრულება უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად შეუძლებელია, და ომი აუტყენა ოსმალებს. ეს ომი ქარისაგან მოხერხების გარდაწვევებილების შედეგი კი არ იყო, არამედ ღრმა-გრძნობისა და მტკიცე რწმენისაგან იყო აღმოძობილი. ხალხი თვით ნათლად ჰხედავდა, რაც ტვირთი აიკიდა მან და რამდამე ღვაწლი უნდა დაედგა და მოეტანა. თვითონ ხალხი ჰგრძნობდა აჯანყების საჭიროებას, თვითონ ქადაგებდა და თვითონ იბრძოდა. მაშინ არც ერთი ნაწილი ხალხისა ცალკედ არ იყო მოძრაობის მოთავედ, ყოველი და ყოველთვის თვითონ ერთიანი ხალხი იყო. ხალხს კარგად ესმოდა, რისთვისაც წაავლო თოფს ხელი, იცოდა რომ გამათჯეება მხოლოდ მასხედ იყო დამოკიდებული და მხოლოდ თავის თავის იმედი უნდა ჰქონოდა. რასაკვირველია, მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რომ ხალხმა შეჰხმლო და აიტანა განუწყვეტელი ბრძოლა და სისხლის ღვრა ცხრა წლის განმავლობაში. განა შარშანდელ ომში ეს გრძნობა და ეს ნათელი მხედველობა ჰქონდა ხალხსა? ჰქონდა განა მას აუცილებელი საჭიროება? განა დარწმუნებული იყო რომ ეველათფერი მხოლოდ მისს მხნეობასხედ და მის თავ-გამომეტებასხედ არის დამოკიდებული? განა ხალხმა იცოდა რის გულისათვის უნდა დაენებებინა მას თავი თავის ცოლ-შვილისა და სახლკარისათვის და საომრად გასულიყო? არა, ხალხს ყოველივე არ ჰსცოდნია. იგი სწეობით და ჭკუით სრულებით არ იყო მომზადებული და ამიტომაც იბრძოდა ისე უგულოდ და ძალაუნებურად. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ხალხს შარშანდელ ომში არც უწინდელი მხურვალე გრძნობა და არც მის წინაპართა მედგარი მხნეობა არ გამოუჩენია. ომში გამარჯვებისათვის მარტო ნივთეული და სამხედრო მომზადება არა კმარა; საჭიროა კიდევ ჭკუითი და სწეობითი მომზადებაც. აი ამ მოუმზადებლობამ დაუდუნა ხალხს მხნეობა და ხალხისი და ამის გამოისობით ვერ აიტანა ოსმალების ომი.

ახლა, რასაკვირველია, უნდა გამოვიძიოთ თუ რამ დადუნა ეს მხნეობა და რამ გაუქრო ხალხს მტკიცე გრძნობა ოსმალების დარღვევის საჭიროებისა. ამ საგნის შესახებ ბევრგვარი აზრია გამოთქმული, მაგრამ მე კი მკონია რომ თავი და თავი მიზეზი ხალხის ცოცხალის სულის მიძინებისა და მისის

სასიათის წახდენისა ჩვენი ბიუროკრატიული განწყობილება იყო.

რომ ვუჩვენოთ მკითხველს თუ რა გავლენა ჰქონდა ხალხსხედ ამ განწყობილებას, საჭიროა გავაკვიროთ მას ის სწეობითი დედა-აზრები, რომელთაც ბიუროკრატია აწვევდა და სერბიაში; უნდა გავცნობოთ ის ხალხის მიდრეკილება, რომლის მოსპობას სცდილობდა ბიუროკრატია და რომლის მაგივრად თავისას ჰგადაგობდა; უნდა დავაკვირდეთ თუ რა ეკონომიურს და საზოგადოებრივს განწყობილებას არღვევდა და მის ნაცვლად რასა ჰრგავდა. მაგრამ ვიდრე ეველა ამას მოვითხრობთ, საჭიროდ ვრაცხ მოკლედ განვიხილო, თუ როგორ გაიძალა ფრთა და როგორ წადგა ფენი ბიუროკრატიაში.

ზემოდ მოვანსენეთ, რომ სერბიის აჯანყება ამ საუკუნის დასაწყისში თვითონ ხალხის თაონობით მოხდა მეტი. აი ამ ხანგრძლივმა ბრძოლამ დაამზადა ის ნიადაგი, რომელსხედაც გაიძალა ბიუროკრატული განწყობილება ახალის სერბიის სახელმწიფოსისა. ომიანობა და მის მომდევარი მუდამი შიში როგორღაც გზას უკაფავდა განვლენის-მექონს გვამთა. ხალხში წინ წამოდებოდნენ ხოლმე სწეობა უფრო მამაცნი, უფრო ჭკვიანნი და ამისთანა შიშით სახსე დროს მათ მფარველობის ქვეშ შედიოდა ეველა უფრო სუსტი, უფრო მშიშარი და გამოუცდელი. ჯერ-ჯერობით ამ უმადლესს მოთავეებს თვითონ ხალხი ირჩევდა, თვითონ ეჭირა მათხედ თვალ-უერი და თვითონ მოსთხოვდა ხოლმე შასუსს ყოველ-გვარ მოქმედების გამო. მაგრამ დრო გადიოდა, და რამდენად ივინი მომეტებულ ღვაწლსა სდებდნენ საერთო საქმესა, იმდენად ხალხი უფრო ენდობოდა მათ, და ბოლოს იქამდინ მივიდა საქმე, რომ ეს ნდობა წინ დაუნებავ ნდობათ შეიქმნა. ამ რიგად ერისთავნი და წინამძღომელნი (ВОЖДИ И ВОЕВОДЫ), რომელნიც უწინ მხოლოდ ხალხის მიერ აღმორჩეულნი და მისის ნების აღმასრულებელნი ივენენ, თან და თან ხალხის მბრძანებელათ და სრულს ბატონებათ შეიქმნენ.

ომი რო გათავდა, შეიქმნა ერთი გრძელი მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა სერბიისა და სტამბოლის შორის. ხალხს ამ მიწერ-მოწერაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მან თავის უფროსებს მიანდო თავისი საქმე. „მე ჩემი ტვირთი ვხიდეო, და ესლა თქვენ იცითო“, ეუბნებოდა მათ ხალხი. ხალხი ამოდენა სისხლის ღვრით, ამოდენა ბრძოლით მოუძღურდა და შესვენა ჰსწეუროდა. იმას ფიქრშიაც არ მოსდიოდა, რომ კიდევ ფრთხილად უნდა ეოფილიყო, კიდევ უნდა ესრუნვა თავისუფლებისათვის: იგი როგორ მოიფიქრებდა, რომ შესამლოა ასე ძვირფასად მოპოებული თავისუფლების წართმევა. თუძცა ეს ასე იყო, მაგრამ

სერბიის ხალხის საქმე მაინც კარგად მიდიოდა, ვიდრე მაღალი თანამდებობანი სახელმწიფოში ეჭირათ იმ კაცებს, რომელნიც წრეულის გულით სრუნავდენ ხალხისათვის, რომელნიც იმ ხალხისავე შვილები იყვნენ და იცოდნენ მისი ნამდვილი ჭირი და მოთხოვნილება.

ხოლო, როცა ვათავდა ბრძოლა და ჩამოვარდა ხანგრძლივი მძვირობიანობა, მაშინ ხალხის ბედმა ფერი იცვალა. ხალხი ფიქრობდა: „სულ ერთია ვინც უნდა იყოს ამა და ამ ადგილზე, ხომ მაინც ეველა ჩვენი ღვიძლი ძმა არის და ეველა ერთ რიგად ისრუნავს ჩვენის სიკეთისათვისო.“ ამ რიგად, უმაღლესს ადგილებსკენ იმისთანა კაცებს გაეხსნათ გზა, რომელთაც ვერაფრად სტკიოდათ გული ხალხისათვის. აი აქ იწეობა ხალხის თავისუფლების დანთქმაცა. ვიდრე ხალხი შესვენებას ცდილობდა. ვიდრე იკეთებდა დანგრეულს ქოხებს და იძობდა დამძეულ მუცელსა, მოთავე კაცებმა ხელთ იწერეს უფლება, სხვა და სხვა ადგილები გაანინეს და ამ ადგილებზე იმისთანა კაცები დასხეს, რომელთაც არავითარი ღვაწლი არ გაუწევიათ ხალხის კეთილდღეობისათვის. ამასთანავე ავსტრიელგან მოვიდნენ სხვა და სხვა განათლებული ზიონიც და დაიწვეს სერბიაში ახალი სახელმწიფოს შენება. ამ კაცებმა გადმოიტანეს თან წინაღვე დამხადებული და გასწავნილებული წესები და მუხლები, ამოკრეფილნი ავსტრის, ბადენის და ბავარიის კანონებიდგან. ამათ წინაღვე მოემხადებინათ ეოველის სატკიავარის წამალი, თუძცა კი თვითონ სატკიავარის ცნობა არა ჰქონდათ, რადგანაც სრულებით არ იცოდნენ არც ხალხის ცხოვრება, არც მისი ჩვეულება და წესიერება, არც მისი ეკონომიური და საზოგადოებრივი განწყობილება. მაგრამ ამ უცოდინრობას არას დასდევდნენ: ისხდნენ თავისთვის სასამართლოებში და ოთხის თვის განმავალბაში იმოდენა კანონები შესთხვზეს, რომ ხალხს სრულებით თვალები აეხვია და თავბრუ დაეხსნა. როდესაც ეველა ეს აუარებელი კანონები შეამხადეს — ხალხს გამოუცხადეს — აი ეს შენი ახალი წესიერება და განწყობილება; განათლება და მეცნიერება ამ კანონებშიაო. ხალხმა თუძცა ვერა გაიგო რა, მაგრამ მაინც დიდის მოწიწებით მოისმინა ეს, ეგონა რომ აქ მართლად რაღაც კარგი რამ უნდა იყოსო და ის კარგი ვლენის ჭკუისათვის მიუწდომელიაო. ამ დღეიდგან გამაგრდა ბუიროკრატია და ადრინდელი ხალხის თვით მმართველობის მაგივრად დაუყმნდა ახალი ბუიროკრატული განწყობილება. ამ ახლის სახელმწიფოს დამწეობთა გადმოჰქონდათ სხვა სახელმწიფოთაგან ეოველივე, გარდა იმისა რაც გადმოსატანად მუქმლებელია და რაც კაცმა უსათუოდ თვითვე უნდა იქონიოს და თვითვე განავითაროს.

გადმოიტანეს ეოველისფერი გარდა გამჭრიახის, აზრისა, გარდა ხალხის მდგომარეობის, საჭიროების ცოდნისა და დაფასებისა.

(შემდეგი იქნება)

ჩვენის ისტორიისათვის მასალა.

(შემდეგი) *

აწ ჩვენი წარსვლისას ვიტყოდეთ. ჩვენ რა წაველთ და მივედით ქუთაის, მუნ იყო ჰეტრე მაქსიმოვიჩი ლიტვინოვი და მან გაგვისტუმრა თავადთან ციცინოვთან, გარნა დიდათ იშიშორდა მეფისაგან და ელოდა სიკვდილსა ჩვენსა გზასა ზედა და ჩვენცა ესრეთ მოველოდით. გარნა მინდობილნი ღვთისა წარვედით და მივედით ტფილისს თავადს ციცინოვთან, მხილველი ჩვენი დიდათ მხიარულ-იქმნა და მიგვიღო სამაგალითოს ჰატვიის-ცემითა და შემდგომად თორმეტისა დღისა გაგვისტუმრა რუსეთად დიდის მომხადებულებითა და დიდის ჰატვიითა, ეოველის საჭიროებითა კმა-ეოფილნი. ნუ განავგრძელებთ, მივედით რა სამეუფოსა ქალაქსა სანკტ-ჰეტერბურღს, შეგვიწინარეს და მიგვიღეს სამაგალითოთა ჰატვიითა, რომლისა წარწერა დიდ-სადამე განგრძელების და შემდგომად რამოდენისამე ხანისა ინება და დირს-ვიქმენით ხილვად და თავანის ცემად მისის იმჰერატორებითის დიდებულებისა მოწეალისა და დიდისა ხელმწიფისა ალექსანდრეს ჰავლეს მისა და ეოველთა მისთა ჭამილიათა. და შემდგომად ხილვისა წარუგ ზავნეთ იოან დეკანოზის ხელით, რომელიცა გქონდა მღვნად წარღებული ჩვენი მთავრინას ნინა დედოფლისაგან სატი ვლანქერან ღვთისმშობლისა, და მიართვა რა მიიღო შესაბამითა ჰატვიითა და დაასვენა თვისის სასახლის ეკელესიასა შინა დიდის ცერემონიითა.

ჩვენ ვიეავით სანკტ-ჰეტერბურღსა შინა გამოუთქმელითა ცხოვრებითა ერთსა წელსა, და შემდგომად გამოგვისტუმრეს დიდის ჰატვიითა ეოველითურთ კმა-ეოფილნი, ეოველივე თხოვა მთავრისა ჩვენისა ინება მიცემა იმჰერატორებითის დიდებულებამ და ბრძანა აღსრულება. წარმოგ ზავნა წეალობით ესენი, შეამკო უძვირფასესად სატი ვლანქერანისა ღვთის-მშობლისა და წარმოგ ზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენოს წინდად ჩემის საფარველის დაღებისა, და თქვენის ჩემდამო ერთგულებისა. მას თან წარმოატანა ეოველითურთ დაუკლებელი ერთი ხელი შესამოსელი

*) ღასწეისი № 5-შაა.

სამღვდელო და სამთავრო, შესაბამის მისი ბოძებისა. ბრძანა აღმენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლანქერან ღვთისმშობლისასა სამენგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორებითის დიდებულებისათა, და იქმნეს მუნ ქალაქი და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგოლიშოლი სასოფრად განსვენებულისა გრიგორიდადიანისა. მოებოძა მთავარსა ჩვენსა ლეონ გრიგორის ძეს დადიანსა გრამოტა დასამტკიცებულად მთავრობისა, დროშა უძვირფასესად შემკობილი, და ხმალი ძვირფასითა თვლებითა მოაჭვილი, ჩინი ღენარალ მათრობისა, და ორდენი ბრილიანტითა წმინდის ანისისა ჰირველისა კლასისა, და ერთი ბეჭედი დიად მდიდარი და ძვირფასი, დედანა მთავრისასა, მთავრისასა ჩვენსა საქართველოს მეფის ასულს ნინას ორდენი ჰირველისა კლასისა წმინდის ეკატერინასი. და ბრძანა, ვინათგან სამენგრელოს მთავარი ლეონ გრიგორის ძე არს ჯერეთ თორმეტისა წლისა და არ ძალ-უძს მას მართვა მთავრობისა, ამისთვის ლეონის ოცისა წლისა მიწვენადმდე ნინა მთავრინა მართებდეს სამთავროსა სამენგრელოსაო. ჩვენ მოკვებოძა უმოწყალებად, მე მიბოძეს ჰირდაპირ ჰოლკოვნიკობა და ორდენი წმინდისა ანისის ჰირველისა კლასისა, და ამასთან უძვირფასესი ბეჭედი, და უძვირფასესი თვლებით მოაჭვილი ბურნათის კოლოფი და სხვა თეთრი მრავალი, ბეჟანს ჰოთხოლკოვნიკობა და ორდენი წმინდისა ანისის მეორის კლასის, ძვირფასი ბეჭედი და თეთრი მრავალი, დეკანოზს იოანეს ოქროს ჯვარი, გამილავკა და სიკვდილამდი ჰენცია და თეთრი მრავალი, და მსლენი ჩვენი აღავსეს წყალობითა. და ესრეთ ღირს-ყოფილნი წარმოვედით სამენგრელოდ, და გამოვლეთ ძალაროსია და ეირიმი და მთავსხედით ქეფას ხოლმანდსა შინა და წარმოვლეთ და მოვედით ეულევს, და იქილამ ბანძას, სადა ივენენ შეკრებულნი მთავარი ჩვენი და მთავრინა და შეიქმნა სიხარული გამოუთქმელი და სხვა და სხვა შექცევანი. და ესრეთ იქმნა სვლა ჩვენი ძალითა ღვთისათა.

ხოლო ყოფნასა ჩემსა როსიად ანუ სხვათა ადგილებთა მიმოვლასა ჩემსა თუ რაი იგი მიხილავნ საკვირვონი, ანუ დიდება ანუ საქებელი, ანუ სხვა და სხვანი სახილავნი, იგი აქა დამეწერა უხამსად შეიქმნებოდა სიგრძე წერილისა ამის და ამისთვის აქა ესრეთ მოკლედ აღვსწერე, და ვისაც აქვს სურვილი ამის შეტეობისა და სმენისა, იხილოს ჩემ მიერ აღწერილსა მიმოვლასა შინა რომელსა ეწოდების მიმოვლა ნიკოლაი დადიანოვისა.

მეფესა იმერეთისასა სოლომონს, საქართველოისა უპირატეს მართებელი თავადი ციციანოვი აწვევდა და ეტეოდა, რათა იგიცა გრიგოლისამებრ შევიდეს მფარველობასა და ერთგულებასა შინა რუსეთის იმპერატორისასა, გარნა მეფე არა თანხმა იყო

ამა განზრახვისა, არამედ უმეტეს ერთგულებდა ჰორტი ათამანსა, და იქეთ ჰქონდა ჰაზრი თვისი. ეამთა ამით აღმხედრდა და გაილაშქრა თავადმან ციციანოვანს სპარსეთსა ზედა, მოადგა განჯის ციხესა და დიდის ბრძოლის შემდგომად აღიღო იგი, და მოჰკლა მას შინა მეოფი ხანი და იავარ ჰყო საქონელი და ცხოვრებანი ჯავათხანისანი, და გამარჯვებული მოიქცა ტფილისადვე, ხოლო განჯას უწოდეს სახელად ელისაბედშოლი სახელსა ზედა იმპერატრიცა ელისაბედისასა. კვალად რამოდენისამე ქამისა შემდგომად გაილაშქრა თავადმა ციციანოვანს სპარსეთსა ზედა და მოადგა ერევნის ციხესა, და მოდგომისა შესვლად წამოემძარა ბაბახან ევინი ორასი ათასითა მხედრითა ციხესა ერევნისასა და მოადგა გარს ციციანოვს. უღონო-იქმნა თავადი ციციანოვი, რა იხილა ესეოდენი სიმრავლე მტერთა და უფრორე ამისთვის, რომელ სამი ათასისა მეტი არა ჰქვანდა, რათა ციხესაცა მოადგეს და ევინსაცა ებრძოლოს. მაშინ დაუტევა ციხე, დაუპირდაპირდა ევინსა და ებრძოლა სასტიკად და წარმოვიდა მშვიდობით და მოვიდა კვალად ტფილისადვე.

კვალად რამოდენისამე ხანისა, წარვიდა კვალად სპარსეთად და რა მივიდა ბაქოს იყო ბაქოს ხანთანა ზრახვად, უკეთუ არა მოწილ მექმნები, შეგმუსრავ შენ და ციხესა შენსა ვითარცა განჯასა. მაშინ ცბიერებითა ემოწილა ბაქოს ხანი და მიუწოდა მხოლოდ ციციანოვს რამოდენითამე კაცითა, დაუტევა მხედრობა და თვით წარვიდა ორითა ცხენოსნის ეახსითა, და წარიტანა ჰოლკოვნიკი ელისბარ ერისთვის შვილი, რომელსა უწოდდენ აღაბახან შვილსა. და რა მივიდა მახლობლად ციხის კარისა, გამოეგება ციხის გარეთ ხანი და დასხდენ სასაუბროთ. მაშინ განზრახულთა კაცთა დაუშინეს დამბახები და მოკლეს კინაზი ციციანოვი, კაცი ღირს-სახსოვარი ეოველსა შინა საქმესა, და მასთან ელისბარ ერისთვის შვილი. უღონო იქმნეს მხედრობა კინაზ ციციანოვისა და ვერღა მხოვნელთა საქართველოისა გვისათა, მთასხდენ კასპიის ზღვასა შინა ხოლმანდთა, და გამოვიდენ აშტარხანს, ამისთვის განრისხდა როსიის იმპერატორი ალექსანდრე ჰავლეს მე ჰირველი და წარმოგ ზავნა დიდ ძალი მხედრობა დასამხობელად ბაქოსა, და მოვიდენ და მოადგენ გარს ბაქოს. გარნა ხანი ვერღა დადგა შიშითა ციხესა მას შინა და უკანით გარდიპარა და წავიდა და ციხე აღიღეს რუსთა, და ეგრეთვე დაბანდი, შამახია და ამათი მიმდგომნი ეოველნი და დაიპურეს რუსთა, რომელნი დღესაც უმეტესად უპერიეს. ხოლო მთავარ მმართველად საქართველოსად ნაცვლად ციციანოვისა წარმოგ ზავნეს ღენერალ ონტიანტერი გრაფი

ივან ვასილივიჩი ღუდოვიჩი. ამანცა მრავალ ჯერ აწვია იმერეთისა მეფე სოლომონ, რათა შევიდეს ერთგულებასა შინა როსიის იმპერატორისასა და განაგდოს ერთგულება ზორტის ათამანისა და მისდამი საიდუმლოდ ზრახვა. გარნა არა ინება და არცა ჰსურდა მფარველობა როსიის იმპერატორისა, და მეცადინეობდა თუ რომლის ღონისძიებით განეროს რუსეთის ემობისაგან.

ამათ დროებთა შინა განირიხნა ღმერთი დაივიწვა მამა მეებრი მოწყლობა და ასლან ბეგ შარვაშიძემ უღალატა მამასა თვისსა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა და მოჰკლა აუეს ციხესა შინა და თვით დაიპურა აუუ და ქალაქი მისი და ეოველი ქონება მამისა თვისისა, ვინაიდგან იუო ქელაიშ-აჰმედ-ბეგ მდიდარ ფრიად. ამისთვის უნირმყოესი შვილი ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა საფარ-ბეგ სიძე დადიანისა, რომელსა ჰყვანდა დაი გრიგოლისი და სცხოვრებდა ზუფუს ბრძანებითა მამისათა, წარმოვიდა და მოვიდა ლეონ გრიგოლის მის დადიანისა თანა და სთხოვა შეწევნა, რათა ესე ვითარისა ბორცტოქმედებისათვის შურ-ავოს მამასა თვისსა ასლან ბეგს. მამინ წარვიდა ლეონ დადიანი სწითა სამეგრელოსათა, და მივედით აუეს და დაუებანაკეთ ბესილას ზირზედ, და ვერა მოვადგეთ ციხესა გარს, ვინაიდგან არა გუქანდა მომზაზებულება არტილერიათა და არცა სხვათა ციხის მოსადგომთა იარაღთა. ამისთვის გამოვართვით მეუღლე ქელაიშ-აჰმედ-ბეგისა მარშანისას ასული რეშია ჰანუმი, და შვილი მისი ბათალბეგ შარვაშიძე, რომელ ესენი ტყვედ ეავდა ბორცტას მას ასლან ბეგს და გავათავისუფლეთ და შემდგომად დაგმძევლეთ ეოველი აფხაზეთი ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე დალიძვა დადიანის საზღვრამდე და მივათავალეთ საფარ ბეგს, და ესრეთ მშვიდობით წარმოვედით ოდიშადვე.

გარნა ბორცტი ივი მამის მკვლეელი ასლან-ბეგ კვალად იმყოფებოდა აუეს ციხესა შინა, გარნა არა აეყნებდა მამასა თვისსა საფარ-ბეგს და ბირებდა ემასა მისსა და აწუნებდა. ამისთვის კვალად მოვიდა ლეონ დადიანთანა და სთხოვა, რათა შეეწიოს და მიიღოს საფარველსა შინა რუსეთის იმპერატორმა და ჰქოს ემად მისა, ვითარცა მთავარი დადიანი. მამინ სთხოვა უქვემე შევრდომილებით ლეონ დადიანმა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე ჰავლეს მეს ზირველს, რათა მიიღოს საფარველსა და ემობასა შინა საფარ-ბეგ შარვაშიძე ვით თვით ივი არს. ისმინა თხოვა დადიანისა მისმა იმპერატორებითის დიდებულებამ და მიიღო ემობასა და საფარველსა შინა თვისსა საფარ-ალი-ბეგ, და ვინათგან დადიანმან სთხოვა იმპერატორსა, ამისთვის ჰატვი სცა თხოვასა დადიანისასა და მიიღო მფარველობასა შინა რიცხვთა

მორის მთავრებთასა და მოანიჭა წყალობაცა კავალერი წმინდისა ანხას ზირველისა ხარისხისა და დროშა სამთავრო, და სიკვდილამდის დიდ ძალი ზენცია, და აღუთქვა მცირედისა ხანისა შემდგომად აღება აუეს ციხისა და განძება მამის მკვლელის ასლან-ბეგისა.

შემდგომად ამისა დაიხსნა რა მშვიდობა ჩვენის ხელმწიფისა და ზორტის ათამანისა შორის, ამისთვის ბრძანებითა საქართველოს უნირატეს მთავრის გრაფი ღუდოვიჩისათა აღილამურა ღენერალ მარტიკოზ მოსადგომად ფოთის ციხისა, და გამოვიდა მხედრობითა ქუთაისიდან და აქიდან სწანი დადიანისანი და მივედით და დაუებარვით მანლობლად ფოთის ციხისა. და იუო მუნ მიტროპოლიტი ჰკონდიდისა ბესარიონ, მიტროპოლიტი ვაიშისა გრიგორი და სხვანი ეოველნი სამეგრელოს თავად-ახანურნი. და რა დალაძდა მიბრძანა რენერალმა რიკოზუმა მე და ტარასოვს ზოლკოვნიკს, რათა ხვალ დილით მივიდეთ და აღვიღოთ საფარი შემოვლებული ქალაქისა და ქალაქიცა. დავემზადეთ და რა გათენდა წავედით რამოდენითამე მხედრობითა და ეგრეთვე რამოდენითამე ჩვენებურის კაცითა, და რა მივედით თავსა ქალაქისასა, იუო დიდის სიმაგრით ნაშენი სხვაგალი და მუნ იდგენ რამოდენიმე მხედრობა ოსმალთა და შევექმენით ბრძოლა და რამოდენისამე ბრძოლისა შემდგომად ვსცანით, რომელ ესე ვითარის ბრძოლით ვერ გავდენით ჩვენ. მამინ ზოლკოვნიკმა და მეცა მიუტანეთ ერთ ხმათ შტურმა (ესე ივი ერში) და გარდვიდენ მხედრობა სანგალსა ზედა, აღვიღეთ სიმაგრე და შეველთ ქალქსა შინა და აღვიღეთ ქალაქი და მოვადექით ციხის მანლობლად.

მამინ ვაცნობეთ რენერალსა რიკოზს და მოვიდა სრულის მხედრობითა და არტილერიითა, და მასთან ზემო სხენებულნი სამღვდელონი და სხვანიცა და შემოეჰკარით ირგველი ციხე და მოველოდი აღებასა მისა მცირესა ხანსა. გარნა შემდგომად ერთისა კვირისა მოვიდა ბრძანება გრაფის ღუდოვიჩისაგან და შემოვეცალეთ და წარმოვედით ისევ სამეგრელოთ ჩვენ ჩვენსა აღვილსა კაცად კაცადნი.

მას ქამსა მოვიდა სერესკალი ოსმალთა უსუფ-ფაშა დილითა მხედრობითა საბრძოლველად საქართველოსა ზედა. აქათ მოეგება გრაფი ღუდოვიჩი და შეექმნათ ბრძოლა მანლობლად ეარსისა და აოტნეს სერესკალნი და გაიმარჯვა სახელოვნად გრაფ ღუდოვიჩმა და ამისთვის მიუბოძა ჯილდოდ ხელმწიფე იმპერატორმა გრაფ ღუდოვიჩს ღენერალ ფელდ-მარშლობა და სხვანიცა ხელქვეშეთნი მისნი აღაფსნა წყალობითა. შემდგომად ამისა წარვიდა გრაფი ღუდოვიჩი და მოადგა გარს ერვენის ციხესა

და მრავალის ბრძოლისა შეძღვომად ვერ აღიღო იგი და კვლად მოიქცა საქართველოდ და ამით ქაშთა ღენარალ ფელდ-მარშალს ღრაფ დუდოვიჩს მიუბოძეს მოსკოვისა მთავარ მართებლობა, ხოლო საქართველოდ წარმოგზავნეს რენერალ ოთ კავალერი ალექსანდრე პეტროვიჩი ტომასოვი მთავარ მმართველად. ამით ქაშთა გარდაიცვალა ღენერალ-მაიორი რიკსოფი ეულევს და მოადგილეთ მისა წარმოგზავნეს სამენგრელოსა შინა ღენერალ-მაიორი თავადი დიმიტრი ხანაროვიჩი ორბელიანი.

(შედეგი იქნება)

გლჳნის ნაამბობი

(სტენისათვის.)

III.

. . . . ალბათ გლჳნი კაცის გაჩენაში ღმერთი არა რეულა, თორემ, ეს როგორი კალონი და სამართალია, თქვენი ჭირიმეთ!.. ლამის, ამ დასაქცევმა გზირებმა სულ ერთიან დამღუპონ და დამაქციონ!.. ი ოხერ ნ ა დ ე ლ ი ს ფულს აგროებდნენ.... შვიდი შაური მიკლდა.... ჩამომიდგნენ სახლში, თითქოს ჩემი მაყრები ყოფილიყვნენ, ერთი ქოსმანი მყვანდა, დამიკლეს, შეთქვლიფეს, ი გასახეთქებმა, ერთი ქვაბიც გირაოთ წაიდეს — და წავიდნენ!.. მეორედ მოვიდნენ, კიდენ ფოშტის ფულს აგროებდნენ... მაშინაც სრულათ არა მქონდა.... ჩემ ბედობაზედ ერთი ქოცო ზედაშელა მეგულეობდა, სულ ერთიან ამოწრუტეს, დასკდნენ, დატყვრენ, ერთი ფარდაგიც გირაოთ წაიდეს — და წავიდნენ!.. ვიჩივლე მამასახლისთან, მაგრამ, ი დალოცვილს დურა ტყავი წამოუსხამს, ყავარჯენი ხელში დაუჭერია ჩვენი ბლალოჩინივით და დადის გაბერილი, ბატივით!.. ხმაც არ გამცა... ან კი რას ინადვლის!.. ჟინჳლილივით წამოწითლებულა ღვინისაგან, ი ოჯახ დასაქცევი და აბრიალებს თვალებს... მესამეთ მოვიდნენ და ღვდლისთვის ფულებს ვაგროებთო, — გამომართვეს, მაგრამ ჩვენთვის წირვა არსად არის და ლოცვა, არც თავის ღროზედ სახლის განათვლა და ზიარება; მონათვლასა და ქორწილში ხომ, სულ ცეცხლს წავგიკიდებენ ხოლმე!.. მაშ, რალაში მიაქვთ ეს

ფულები?!....

ეხლა კიდენ მომდგომიან კარებზედ და შკოლის ოსტატის ფულს თხოულობენ... ნეტავი ქართულს მაინც ასწავლიდნენ ი დალოცვილები!... ან ფულს ვიღანა ჩივის, — სადილიც გვაჭამეო... მე თითონ რომ არა მაქვს რა, იმათ რა ვაჭამო?!., გაგონილა, თქვენი ჭირიმეთ!.. ერთი ამის სამართალი გამიჩინეთ, ღმერთი გაგიმარჯვებთ!..

IV.

(სტენისათვის.)

(გლჳს ხელში ჯამი უჭირავს, ღვინით სავსე, და ილოცება.)

. . . . ღმერთო გაუმარჯვე ხელმწიფესა, უშველე საქართველოსა, მოაცილე ცილსა და ხიფათსა, ორგული და მტერი დაუმარცხე, მოყვარე და მოყვარეს — შეუმატე, გააძლიერე ჩვენი ქვეყანა, გააკეთე, გაამდიდრე, გააბედნიერე!.. ღმერთო, მოუმართე ხელი გლჳს-კაცსა, ხელ-მკლავი შეარჩინე, ოფლი პურათ გადაუქციე!.. ღმერთო, წმინდა გიორგივ, მოუმატე ჩვენს საქონელს, ქედი დაულოცე და გაუმაგრე; ღმერთო უმრავლე კრუხ-წიწილი ჩვენს პატარძლებს; ღმერთო, დიდებულო, აგვაცილე დედაკაცის შარს და მეზობლის შარსა და ხათაბალას, ნუ ჩამაგდებ ჯოჯოხეთში, ადვოკატის ხელში და სასოფლო ნაობახტში.... რწყილებით სავსეა!.. ღმერთო დაუმარცხე და (ქუდს იხდის და მიწაზედ ახეთქებს) ასე დაუქციე ოჯახი ი გაუმაძღარ გზირსა, ნაჩალნიკის იასათულს და ჩვენს ბორჩიკს!.. ღმერთო ჭკუა მიე ჩვენს მამასახლისს და შებრალება — ჩვენს მღვდელს..... ღმერთო სამართალი გაუსწორე ჩვენს სუდიას.... ღმერთო ნათელი დააყენე ჩემს დედ-მამას, ქვეყნის მოკეთე კაცს და არქიელს...

ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს ლაშქარს!!! თქვენც გაგიმარჯოთ: ხალხო და ჯამათო!..

თ. რაფიელ ერისთავი.

1 აპრილს 1877 წელს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულა ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდებულების ძალითა 25 მაისს 1877 წელსა დღისით, 12 საათზედ ტფილისში, თვით ბანკის სადგურში გაიყიდება უპრეტორჟოდ ქვემოხსენებულთა ჰირთა უძრავი ქონება იმის გამო, რომ ამ ჰირთ არ შეუტანიათ ბანკში აღებულის სესხის მხედვრი შესატანი, დადგინებული წესდების 29,30,34 და 35 წარავრათებითა.

სახელი და გვარი მათი ვისიც უძრავი ქონება იყიდება.	ადგილი საცა ქონება იმყოფება..	რა გვარი უძრავი ქონებაა.	აღებულის სესხის თავნი.		აღებულის სესხის თავნი ყოველჯერის შემოსატანითურთ	
			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.
1 შეშიაკინი, ალექსი ივანისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 3 ნაწილში ორბელიანთ ქუჩაზე №271.	ერთ სართულიანი (ეტიჟიანი) ქვითკირის სახლი. მის ქვეშ ადგილი 235 ოთხ-კუთხე საყენი...	1,743	53	1915	52
2 ტერ-მიკიტინიანცე, ქრისტეფორე ნიკიტის ძე.	ტფილისში II განყოფილებაში, 12 ნაწილში ნიკოლაევსკის ქუჩაზე.	სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეოველ-გვარის შენობითა, მის ქვეშ ადგილი 634 ¹ / ₂ ოთხ-კუთხე საყენი	79,427	7	83,833	52
3 სულხანაფისა, მარიამ ივანეს ასული.	ტფილისში I და II განყოფილებაში, 7 და 14 ნაწილში.	თორმეტი ერთ სართულიანი, ორი ორ სართულიანი და სამი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქნები	17,582	73	17,944	86
4 ადამაშვილი გიორგი ქიტქისაძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ეკოს ადგილი 90 ოთხ-კუთხე საყენი და მასზედ მდგარი შენობანი.	270	—	330	40
5 სტეფანოვი გეორგი.	ტფილისში, II განყოფილებაში, 2 ნაწილში.	ცარიელი სასახლე ადგილი 300 ოთხ-კუთხე საყენი.	1200	—	1,349	44
6 ალექსევი ანტონ იაკობისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 37 ¹ / ₂ ოთხ-კუთხე საყენი.	600	—	670	44
7 ვარაჯევი, ივანე სტეფანისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 9 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 52 ოთხ-კუთხე საყენი.	500	—	575	4
8 მამუკიანცნი, ბავრატა და ალექსი გეორგიას ძენი.	ტფილისში, II განყოფილებაში, 13 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 143 ოთხ-კუთხე საყენი.	1000	—	1087	40
9 განგებლოვისა, ავრაფინა ვასილის ასული.	ტფილისში, II განყოფილებაში, 14 ნაწილში.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და მის ქვეშ ადგილი 69 ოთხ-კუთხე საყენი. . .	800	—	914	76
10 კვსაძე, ივანე გიორგისძე და ზარბიევი გიორგი თამაზისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	სასახლე ადგილი 224 ოთხ-კუთხე საყენი.	300	—	357	72

			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.	
11	კორდანიოვი, მერაბ ზაქარიასძე.	ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისავე მაზრაში სოფ. შავთა და ვანეთი.	252 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხე საყენი სახსნავი, სათიბი და ტყე	3979	9	4188	39
12	ახაზი, მცირე წლოვანი ირაკლი ალექსანდრესძე.	ტფილისის გუბერნიაში და იმავე მაზრაში სოფ. თხინვალი.	175 დესეტინა, სახსნავი და სათიბი, სახლითა და ბაღითა. . .	5976	82	6086	35
13	გაბაევი, ანდრია მიხაილისძე	ტფილისის გუბერნიაში, იმავე მაზრაში სოფ. ერთვისი.	106 დესეტინა 320 ოთხ-კუთხე საყენი სათიბი და სახსნავი მიწები, სახლითა და ვენახითა. . .	4980	68	5260	44
14	ორბელიანი, თ. იოსებ კონსტანტინესძე.	ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანახში.	ვენახი ორი დესიატინა და 90 ოთხ კუთხე საყენი.	2000	—	2098	—
15	რუსიევ-ეორონიძე, გიორგი გიორგისძე.	ტფილისის გუბერნიაში, ქ. თელავში	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 1425 ოთხ-კუთხე საყენი.	700	—	774	68

ხსენებული უძრავი მამული გაიყიდა მთლიანად, მხოლოდ თვითვეულად ცალკე. სათავნო ვალს ზედ მიეკეცება ბანკში ვადითი შესატანი ფული, ეოველივე ხარჯი რაც ბანკს მოსვლია მამულის გასასყიდლად დანიშნისათვის და გარდა ამისა ეოველივე სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადის ნაშთი (недоимка) და ეგრედ შემდგარის ჯამიდან დაიწეება ტორგი, თანხმად წესდებულების 19 მუხლისა. ამასთანავე მმართველობა ბანკისა აცხადებს, რომ ვალის თავნი, თვითვეულს მამულზედ ნახვენები, შეიძლება მოძორებულ იქმნას მსეიდველისაგან გირავნობის ფურცლითა (закладной листь), რომლის მანეთი მანეთად მიიღება და გარდა ამისა შეიძლება მსეიდველმა, ბანკის თანხმობით. ეგ სათავნო ვალი თავის თავზედ ვადილს, მხოლოდ უსათუოდ კი უნდა მოძოროს ნაღდის ფულით ის, რაც სათავნო ვალზედ მეტი შემოსატანი ფულია.

თუ ზირველი ტორგი, რომელიც 25 მაისს 1877 წ. დანიშნულია, ვერ მოხდა და მამული არ გაიყიდა, ამ შემთხვევისათვის მმართველობა ბანკისა თანხმად წესდებულების 22 მუხლისა, ნიშნავს მეორესა და უკანასკნელს ტორგს 9-ს ივნისს ამ 1877 წლისას.

Дозволено цензурою. Тифлис, 21 Апреля 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭყაძე**

სარედაქციო № 3030: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნიძე, ლალი გორჩილაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი, მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**

პროექტი: ივანია – წარსული დაწინააღმართების – მომავლის განსაზღვრა

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს

მომომავალი შპს „საგაომავლო სახლი ქართული ელიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com